პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 183 (10577) | ოთხშაბათი, 8 აგვისტო, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲦᲔ

ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲗ ᲒᲐᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲛᲞᲘ, ᲐᲣᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲬᲝᲕᲝᲗ ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲘ

★ ★ ★

ᲤᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს, მთელ საბჭოთა ხალხს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახა წარმოების ტექნიკური დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლება, დაუცხრომელი ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის. მხოლოდ უმაღლესი ტექნიკის ბაზაზეა შესაძლებელი შრომის ნაყოფიერების ამაღლება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისათვის. ტექნიკური პროგრესი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ტექნიკური პროგრესის განხორციელება პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ დაუღალავ ორგანიზატორულ მუშაობას მოითხოვს. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლას, პრაქტიკულად უზრუნველყონ წარმატებათა მოპოვება ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის საქმეში.

წარმოების განუხრელი სრულყოფის ამოცანა მოითხოვს სამრეწველო საწარმოებსა და დაწესებულებებში ფართოდ გავაჩაღოთ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, ავამაღლოთ მასების — მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა.

ინჟინრების, ტექნიკოსების, მუშათა ფართო მასების ინიციატივა, ნოვატორული შრომა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია ტექნიკური პროგრესის გზაზე. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა ყველა სპეციალისტსა და მუშას გაუღვივონ შემოქმედებითი ცეცხლი, ჩაბან ახალი ტექნიკისათვის ბრძოლაში, აღზარდონ ახლის ძიების სულისკვეთებით. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ყოველმხრივ უწყობს ხელს მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, თანდათან აფართოებს ბრძოლას ყოველივე ახლისათვის, მოწინავისათვის. არ სჯერდება საერთო მოწოდებას, არამედ დიფერენცირებულად მუშაობს წარმოების მუშაკთა სხვადასხვა ჯგუფთან — კონსტრუქტორებთან, ტექნოლოგებთან, ოსტატებთან, მუშა-გამომგონებლებთან. პარტორგანიზაციამ მხარი დაუჭირა ტექნოლოგ გ. ხოჭოლავას და კონსტრუქტორ ლ. ქურციკაძეს, რომლებმაც შეიმუშავეს სერიული წარმოების ჩარხების მთელი რიგი დეტალების ცივი და ცხელი დატვიფრვის ახალი მეთოდი. ამჟამად ეს მეთოდი ფართოდ არის დანერგილი წარმოებაში და დიდად ამცირებს დეტალების დამზადების შრომატევადობას, ამასთან თვითეულ ჩარხზე 12 კილოგრამი ლითონის ეკონომიას იძლევა.

ქარხანაში ზრუნავენ მოწინავე მუშების გამოცდილების შესწავლისა და გავრცელებისათვის. სისტემატურად იმართება ჩქაროსანი ხარატის ი. უკოლოვის, ნოვატორი მბურღავის გ. ძაძამიას, მოწინავე ლითონნახვრეტის გ. დოღუზაშვილის მუშაობის პრაქტიკული ჩვენება, რასაც თან ერთვის ნათელი, დასაბუთებული ახსნა-განმარტება. ამის შედეგად უკანასკნელ ხანებში დაახლოებით 80 ახალგაზრდა მუშა დაეუფლა შრომის მოწინავე მეთოდებს. სპეციალისტებისა და მუშა-გამომგონებლებისათვის ეწყობა ლექციები ეკონომიკის საკითხებზე, აგრეთვე გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კონფერენციები, სადაც განიხილავენ საწარმოს მუშაობის აუარსებო საკითხებს. პარტიული ორგანიზაცია ზრუნავს იმისათვის, რომ ბიბლიოთეკაში იყოს ახალი ტექნიკური ლიტერატურა.

ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის სისტემატურად ზრუნავენ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციები. ამითაც აიხსნება, რომ ეს საწარმოები გადაჭარბებით ასრულებენ პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების გეგმებს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში შეუწყნარებლად ჭიანურდება ახალი მანქანებისა და მოწყობილობის, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის საქმე. ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობითაც აიხსნება, რომ შახტებში ნელა ინერგება ციკლური გრაფიკით მუშაობის მეთოდი. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამ მეთოდით მუშაობაზე გადაყვანილია 18 ლავი გეგმით გათვალისწინებული ოცდაერთის ნაცვლად. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის შახტებში ქვანახშირის 4 კომბაინიდან ყოველდღიურად მუშაობს ერთი ან ორი, 12 საყელავი მანქანიდან — მხოლოდ 5-6.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე მეფოლადეებმა გეგმასთან შედარებით 15 პროცენტით გაადიდეს ღუმელის ქვედის ყოველ კვადრატულ მეტრზე ფოლადის მიღება. სამწუხაროდ, მარტენის საამქროს პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ბრუნავს ამ მოწინავე მეფოლადეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის. ამავე დროს ყველა მეფოლადე რომ დაეუფლოს ჩქაროსნული დნობის მეთოდს და 10 პროცენტით გაადიდოს პროდუქციის მიღება ღუმელის ქვედის ყოველი მეტრის მიხედვით, მაშინ მარტენის საამქრო წელიწადში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცემს 70.000 ტონა ფოლადს ანუ 3-ჯერ იმაზე მეტს, რაც საჭიროა რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში საწარმოო თათბირებზე მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ხშირად აყენებენ ძვირფას წინადადებებს, რომლებიც მიმართულია შრომის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ, მაგრამ ამ წინადადებათა განხორციელება შეუწყნარებლად ჭიანურდება.

ეს ნაკლოვანებანი ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის, რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების მუშაობაში იმის შედეგია, რომ ამ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები არ ეწევიან ნამდვილ, საქმიან, კონკრეტულ ბრძოლას წარმოების სრულყოფისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან მუშაობას, სუსტად იბრძვიან მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ასამაღლებლად.

რესპუბლიკის მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები ვერ იჩენენ სიმტკიცეს ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში. იმის ნაცვლად, რომ გააძლიერონ კონტროლი ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, ისინი სჯერდებიან ზოგადი დადგენილებების მიღებას. სამწუხაროდ, არა მარტო პირველადი პარტიული ორგანიზაციები, არამედ ხშირად პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტებიც არაკონკრეტულად უდგებიან საწარმოებისადმი ხელმძღვანელობას, ივიწყებენ, რომ შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლის წარმატება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ ოცცხალი ორგანიზატორული მუშაობით საწარმოებში. არა ზოგად მითითებათა მიცემა, არამედ ნამდვილი დაუღალავი ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის, ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა ადამიანებთან — სპეციალისტებთან, მუშებთან, შეურიგებელი ბრძოლა ყოყლოჩინობისა და რუტინის წინააღმდეგ — აი რა მოეთხოვება პარტიულ ორგანიზაციებს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ დაუღალავი ზრუნვა ტექნიკური პროგრესისათვის, არსებული მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის, მრეწველობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და საწარმოო აღმავლობისათვის, ყოველმხრივ წაახალისონ ნოვატორები, აზრუნონ მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მოაწყონ მათთვის ლექციები, მოხსენებები, გამოცდილების გაზიარება, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან მუშაობაში, ფართოდ დარაზმონ მასების შემოქმედებითი ძალები, რომლებიც ტექნიკური პროგრესის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენენ.

ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე დასასრულს უახლოვდება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. ბევრმა კოლმეურნეობამ უხვი მოსავალი მიიღო.

სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას წელს 3.121 ჰექტარზე ეთესა თავთავიანი მარცვლეული კულტურები. ამ კოლმეურნეობამ რაიონში ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა მკა. მემინდვრეობის ბრიგადამ, რომელსაც ა. ოთარაშვილი ხელმძღვანელობს, 450 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 22 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა.

ხორბლის მაღალი მოსავლის მიღების ოსტატის სახელი აქვს მოპოვებული ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის მეოთხე ბრიგადას, რომელსაც ნ. მაზიაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ 90 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 28 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა, ხოლო ამავე კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ლეკაშვილი) 100 ჰექტარიდან საშუალოდ ყოველ ჰექტარზე 24 ცენტნერი მოსავალი მიიღო.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ

ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ. (საკ. კორ.). ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მასობრივად დაიწყო „მინოსტა-13“ ჯიშის სიმინდის ახალი მოსავლის აღება. კოლმეურნეობის ბეღლებში უკვე მიტანილია პირველი 200 ცენტნერი სიმინდი.

მოწინავე კოლმეურნეებმა ი. ქვაჭრელიშვილმა, ა. ზურაბიშვილმა, კ. კოჭლამაზაშვილმა და სხვებმა მოსავლელად მიჩენილი ნაკვეთების თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 25 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. გეგმა კი 20 ცენტნერს ითვალისწინებდა.

სიმინდის აღებასთან ერთად სწრაფად მიმდინარეობს ნაკვეთების გასუფთავება. ყვარლის მტს-ის მექანიზატორები ხვნას შეუდგნენ. ამ დღეებში გაჩაღდება სიმინდის თესვა მეორე მოსავლის მისაღებად.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲗ ᲗᲐᲕᲒᲠᲣᲓᲐᲮᲕᲔᲣᲚᲜᲘ

ახალციხის რაიონის კოლმეურნეები წელს გაახარა თავიანთი შრომის ნაყოფმა. პურეულის კარგი მოსავალია. თუ შარშან სოფელ აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა თვითეულ ჰექტარზე 2 ცენტნერს შეადგენდა, წელს 14-16 ცენტნერ პურს იღებენ. ასეთივე მდგომარეობაა მეტ წილ კოლმეურნეობებში.

მაგრამ მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის საჭიროა ძალების სწორად განაწილება, მთელი შრომითი რესურსების გამოყენება, შრომის სწორი ორგანიზაცია. სამწუხაროდ, ეს არ იგრძნობა მოსავლის აღების პირველ დღეებში. სოფელ კლდის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის 200 ჰექტარი ფართობი გაუწმენდავია ქვებისაგან და კომბაინის მართვა ფერხდება. 2 აგვისტოს კომბაინერმა ა. ფეიქრიშვილმა 2 საათი მოანდომა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინის შეკეთებას. მუშაობის პროცესში მანქანა წააწყდა ქვას და ტრანსპორტიორი გაფუჭდა.

ბევრი კოლმეურნეობის თავმჯდომარე დაამშვიდა შემოსულმა უხვმა მოსავალმა, და თავთავების აკრეფის საქმეზე თავს არ იწუხებენ. მაგალითად, დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფართობებზე, სადაც ყველზე მეტ მოსავალს იღებენ, უხვად არის მობნეული პურის თავთავები. პირველ რიგში ეს ითქმის კლდის ფართობებზე, სადაც 150 ჰექტარი პურეული უთესიათ.

2 აგვისტოს აქ მომუშავე კოლმეურნემ პ. ხითარიშვილმა გამოიანგარიშა დანაკარგების რაოდენობა და განაცხადა: თავთავების აუკრეფობის გამო მოსავლის 10-20 პროცენტი გვეკარგებაო.

კოლმეურნეობის გამგეობა კი ასეთ მდგომარეობას რატომღაც შერიგებია და გადამწყვეტ ზომებს არ იღებს დანაკარგების აღსაკვეთად.

დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ცუდი მდგომარეობაა სოფელ მუგარეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. გათიბულ ჰექტარებზე მიწა დაფარულია თავთავებით, ხოლო მათ შეგროვებაზე არავინ ფიქრობს. ბრიგადირ თ. ტაბატაძესთან ერთად შევამოწმეთ და გამოირკვა, რომ თვითეულ კვადრატულ მეტრ ფართობზე მობნეულია 40-ზე მეტი თავთავი. ჩვენ არ ვიცით რა შეხედულებისაა ამაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. კაპანაძე, რადგან მოსავლის აღების ცხარე დღეებში მას მინდვრად ვერ ნახავთ, ხოლო ბრიგადირმა თ. ტაბატაძემ შემოგვჩივლა, კოლმეურნეობის გამგეობა არ გვეხმარება მკის დროს შრომის მოწესრიგების საქმეშიო.

— ბრიგადაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, — თქვა მან, — ყოველდღიურად 60 მუშის გამოყვანა შეიძლება, მაგრამ 20-25-ზე მეტი არ გამოდის. ამ საქმის მოგვარებაში კოლმეურნეობის გამგეობა ნაკლებად გვეხმარება.

მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ახალგაზრდები აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ საკოლმეურნეო შრომაში. კოლმეურნეები ა. ლომიძე, რ. ლომიძე, ე. ლომიძე, რომლებმაც წელს მიიღეს საშუალო განათლება, უსაქმოდ დაეხეტებიან სოფელში.

მუგარეთში მოსავლის დაკარგვა მოსალოდნელია მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ხელმძღვანელთა დაუდევრობამაც გამოიწვიოს. კოლმეურნეები მტს-ის მოლოდინში არიან. თავთავი გადამწიფდა, კომბაინი არა ჩანს.

კომბაინის მოლოდინით მკა გვიანდება სოფელ აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ამაში ბრალი მიუძღვის მტს-ის დირექტორს გ. გოგიბერიძეს. მაგრამ რატომ არ ფიქრობს კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ამხ. ვ. გაჩეჩილაძე) მომწიფებული პური ხელით მაინც აიღოს?

მთის სოფელ გიორგწმინდის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობაში არ ხერხდება მექანიზაციის გამოყენება. აქ პურის ხელით მკა 80 მუშით 15 სამუშაო დღისათვის დაგეგმეს. ამ გრაფიკით დღეში უნდა მომკან 5 ჰექტარი. სინამდვილეში 20-25 მუშა გამოჰყავთ და დღეში 2 ჰექტარს მკიან. თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა ეს სამუშაო, მის დამთავრებას 35-40 დღეს მოუნდებიან.

ამხ. ვ. ტაბატაძე, რომელსაც კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, შეუწყნარებლად აჭიანურებს მომკილი პურის ლეწვას. მას განზრახული აქვს ამ სამუშაოს შეუდგეს მოსავლის აღების დაწყებიდან მე-20 დღეს ანუ 15 აგვისტოდან. ეს მაშინ, როცა სალეწი მანქანა უქმად დგას. ასევე უდარდელად ეკიდებიან აქ თავთავების აკრეფას მომკილ ფართობზე.

— როცა სალეწამდე პურის მიზიდვას მოვრჩებით, თავთავების აკრეფას მაშინ შევუდგებით, — აცხადებს თავმჯდომარე.

მთელი რიგი კოლმეურნეობები, რომლებიც პურს ხელით მკიან, მის გალეწვას აგვიანებენ, ეს კი მარცვლეულის დანაკარგს იწვევს. სოფელ წირას სპანდარიანის სახელობის კოლმეურნეობას ჯერ არ დაუწყია პურის ლეწვა. მას გაულეწავი აქვს პირველ 40 ჰექტარზე მომკილი ხორბალი. ასეთი მდგომარეობაა ჭეკერექის სტალინის სახელობის, საძელის ვოროშილოვის სახელობის და ბევრ სხვა კოლმეურნეობაში.

თუ ეს ნაკლოვანებანი სწრაფად არ გამოსწორდა, კოლმეურნეობები მარცვლეულს დიდი რაოდენობით დაკარგავენ. პარტიის ახალციხის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი უნდა დეხმარონ ამ საქმეში კოლმეურნეობებს და ბოლო მოუღონ უდარდელ დამოკიდებულებას მკისა და ლეწვისადმი. მოსავლის აღებაში დროის დაკარგვა მარცვლის დაკარგვაა.

Ე. ᲮᲐᲠᲔᲑᲐᲕᲐ,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲮᲐᲫᲘᲔᲑᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲚᲝᲒᲘᲡᲗᲐᲜ — ᲰᲘᲓᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲐᲚᲘᲔᲕᲘ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲝᲕᲘ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ) ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲑᲘᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲬᲘᲚᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲓᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲡᲐᲠᲗᲐᲕᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲛᲘᲡᲐ.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲦᲒᲘᲚᲖᲔ

სამტრედია. („კომ.“ კორ.). სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივის სახელზე მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ აბრეშუმის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს შორის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებით სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივმა დაიკავა მეორე ადგილი და მოიპოვა 45.000 მანეთი პრემია.

მორიგი გამარჯვების შესახებ ცნობის მოლებამ ფაბრიკის კოლექტივში დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. კოლექტივმა გადაწყვიტა კიდევ უფრო გაუმჯობესოს მუშაობა საკავშირო პირველობის მოსაპოვებლად.

ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲑᲘᲜᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულში ყოველწლიურად ფართოვდება საბინაო მშენებლობა. ამ დღეებში სტალინის სახელობის შახტის მახლობლად დამთავრდა კიდევ ერთი ახალი სამსართულიანი თვრამეტბინიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ახალ სახლში კეთილმოწყობილი, ნათელი ბინები მიიღეს ქვანახშირის მონგრევის სახელგანთქმულმა ოსტატმა ი. ორჯონიკიძემ, ნოვატორმა მთხრელმა დ. ნოსოვმა, სამთო ინჟინრებმა დ. ცირეკიძემ, ს. კუკულავამ, მ. ვერულაშვილმა და სხვებმა.

ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ

მიმდინარეობს ელექტრობაზის გაყვანა სიონდიან თიანეთამდე. ხაზი, რომლის სიგრძე 16 კილომეტრია, წელს დამთავრდება. იგი ელექტროსანთლით უზრუნველყოფს რაიონის 12 სოფლის მოსახლეობას. გარდა ამისა, ერწოს უბანზე სიონიდან გაყვანილია მაღალი ძაბვის ხაზი ხევსოფელში, რის საშუალებითაც ელექტროფიცირებულ იქნა სოფლები თოლენჯი, საყდრიონი და გორანა.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲚᲝᲒᲘᲐ

სოფელ ყიბოტის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა ადმინისტრაციული შენობის აგება. შენობაში მოთავსებულია კოლმეურნეობის კანტორა და დარბაზი სცენითურთ 300 მაყურებლისათვის.

ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘ

ამ დღეებში ახალსოფლის მოსახლეობამ მიიღო ციხელას მთიდან გამოყვანილი წყაროს წყალი. განზრახულია წყლის მიყვანა მეცხოველეობის ფერმამდე. ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა წყალსადენი ერწოს უბანზე სოფელ სიმონიანთხევში. წყალსადენი გამოყვანილია ოთხი კილომეტრით დაშორებული მთიდან.

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

თიანეთის კულტურის სახლი ნაყოფიერად მუშაობს მშრომელთა კულტურული მომსახურებისათვის. სახლის დრამატული წრე თ. გელოვანის ხელმძღვანელობით ხშირად მართავს საღამო-წარმოდგენებს. კულტსახლს ჰყავს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც წელს არტნის ხეობაში ბაჩალის მთის საზაფხულო საძოვარზე მწყემსებისათვის გამართა ხაინტერესო კონცერტი. გუნდმა გასვლითი კონცერტი მოაწყო აგრეთვე სიონმშენის კოლექტივისთვის და ერწოს უბანზე მდებარე მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშა-მოსამსახურეებისათვის. წელს კულტურის სახლში მაყურებელს ასზე მეტი ახალი მხატვრული ფილმი უჩვენეს. აქვთ სამი მოძრავი კინოდანადგარი, რომლებიც მომსახურებას უწევენ რაიონის ცენტრიდან დაშორებულ სოფლებს.

ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მეტად მდიდარია რაიონული ბიბლიოთეკა სხვადასხვა საინტერესო ლიტერატურით. სამაგვარო ბიბლიოთეკასთან ერთად, რომელიც მკითხველთა უკეთ მომსახურების მიზნით ცალკე შენობაშია მოთავსებული, იგი ითვლის 20.500-ზე მეტ წიგნს. რაიონულ ბიბლიოთეკას აქვს ფილიალი თიანეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობისა და მეცხვარეობის ფერმასთან.

Შ. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

7 აგვისტო

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲛᲢᲡ-ᲨᲘ

Ი. რაზმაძე მოსავალს იღებს სოფელ შაშაბურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. მან „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით პურეული მომკა 15 ჰექტარზე და გალეწა 152 ცენტნერი მარცვლეული.

ᲯᲐᲜᲒᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ თვითმავალი კომბაინით ზოფელ ლაშის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალი აიღო 10 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა და გალეწა 110 ცენტნერი ხორბალი.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲢᲡ-ᲨᲘ

Ე. ᲮᲐᲑᲐᲚᲐᲔᲕᲘ წარმატებით ამუშავებს თვითმავალ კომბაინს სოფელ ხოპისის კოლმეურნეობაში. მან მომკა 13 ჰექტარი, აღების დღიურ ნორმას 5 ჰექტარით გადაამეტა და თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ გალეწა 16 ცენტნერი მარცვალი. მას პურეული მომკილი აქვს სულ 210 ჰექტარზე.

Გ. ᲗᲝᲠᲨᲣᲠᲘᲫᲔ წარმატებით იღებს მოსავალს დაღეთხაჩინის კოლმეურნეობაში. მან „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მომკა 17 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 15,5 ცენტნერი ხორბალი. სულ აღებული აქვს 270 ჰექტარი.

ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲢᲡ-ᲨᲘ

Გ. ᲡᲐᲠᲯᲘᲡᲝᲕᲛᲐ თვითმავალი კომბაინით ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ პურეული მომკა 16 ჰექტარზე, საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 14 ცენტნერი მარცვალი. სულ აღებული აქვს 170 ჰექტარი.

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲢᲡ-ᲨᲘ

Ვ. ᲛᲘᲠᲐᲫᲝᲕᲛᲐ კარალეთის კოლმეურნეობაში თვითმავალი კომბაინით მოსავალი აიღო 14 ჰექტარზე. საშუალოდ ჰექტარზე მოსავალი შეადგენს 13 ცენტნერს.

Ა. ᲐᲑᲠᲐᲰᲐᲛᲘᲫᲔ ქახვრელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში პურეული მომკა 18 ჰექტარზე, საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 17 ცენტნერი მარცვლეული.

Რ. ᲧᲐᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ მოსავალს იღებს ტინისხიდის კოლმეურნეობაში. მან „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მომკა 16 ჰექტარი. საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 13 ცენტნერი მარცვალი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: კომკავშირული სამკერვალო საამქრო. წინა პლანზე — ნ. ქავთარაძე მუშაობის დროს.

ფოტო შ. გოქაძისა

Ნ. Ა. ᲑᲣᲚᲒᲐᲜᲘᲜᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲑᲘᲠᲛᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲔᲚᲩᲘ ᲛᲝᲜᲒ ᲝᲜᲘ

6 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მონგ ონი და საუბარი ჰქონდა მასთან. (საკდესი).

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲨᲘ

თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკა ერთ-ერთი დიდი საწარმოა ჩვენი რესპუბლიკის სამკერვალო ფაბრიკებს შორის. უკანასკნელ პერიოდში აქ გამართეს გაუმჯობესებული საკერავი აგრეგატები. დაინერგა შრომის მოწინავე მეთოდები, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და მუშათა შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ფაბრიკის კოლექტივმა ნაყოფიერი შრომის შედეგად მიმდინარე წლის 7 თვის საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 73 ათასი მანეთის პროდუქცია. საწარმოს ამ საერთო წარმატებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის კომკავშირულ სამკერვალო საამქროს, რომელსაც ს. წურწუმია ხელმძღვანელობს. საამქროში ყველა კომკავშირელი მონდომებით, საქმის სიყვარულით მუშაობს, გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას, სისტემატურად აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

საამქროში საუკეთესო მუშაობით გამოირჩევა ნათელა ქავთარაძე. მან 1949 წელს დაამთავრა ამავე ადგილობრივი საფაბრიკო სასწავლებელი და დამოუკიდებელი შრომის პირველი დღეებიდანვე მოწინავეთა რიგებში ჩადგა. უკანასკნელი წლების მანძილზე იგი სისტემატურად ორმაგად ასრულებს საწარმოო დავალებებს, იძლევა საუკეთესო ხარისხის პროდუქციას. ამ მიღწევებისათვის შარშან იგი დაჯილდოებულ იქნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით, მიღებული აქვს მრავალი ჯილდო ფაბრიკის ადმინისტრაციისაგან.

მაღალნაყოფიერ შრომას ნ. ქავთარაძე კარგად ათავსებს საზოგადოებრივ მუშაობასთან. იგი არის საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმის წევრი და საამქროს კომკავშირის ბიუროს წევრი.

პარტიული ცხოვრება

ბოლო მოვუღოთ ფორმალიზმს პარტიულ მუშაობაში

— ჩვენი კოლმეურნეობა წინათ მილიონერი იყო, შრომადღეზე ბევრი პროდუქტი ნაწილდებოდა. მაგრამ უკანასკნელი წლების მანძილზე იგი დაქვეითდა. მას დღემდე ვერ ჩაუდგა სათავეში ისეთი ხელმძღვანელი, რომ ჩამორჩენა გამოასწოროს, საქმე წინ წასწიოს, — გვეუბნება ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ო. როგავა.

უკანასკნელი წლების მანძილზე ყვიბისის კოლმეურნეობა რომ ჩამორჩა და ამ ხნის განმავლობაში გამგეობის რამდენიმე თავმჯდომარე რომ შეიცვალა, ეს მართალია. მაგრამ ისიც მართალია, რომ პარტბიუროო და მისი მდივანი ამხ. როგავა, რომელიც ცხრა წელია, რაც მდივანია, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

ყვიბისის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მსხვილი მეურნეობაა ბორჯომის რაიონში. მარცვლეულ კულტურებს გარდა, კარგი მოვლის პირობებში, აქ უხვ მოსავალს იძლევა ხეხილი, ბოსტნეული, კარტოფილი. ხელოვნური და ბუნებრივი სათიბები საშუალებას იძლევა მეცხოველეობისათვის შექმნილ იქნას მტკიცე საკვები ბაზა. მაგრამ ამ შესაძლებლობებს კოლმეურნეობაში მაქსიმალურად ვერ იყენებენ. სისტემატურად არღვევენ ნიადაგის დამუშავების აგროტექნიკურ ვადებს, გადამჭრელ ზომებს არ იღებენ ცუღლუტების მიმართ, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას და სოციალისტური შეჯიბრების გაშლას. პარტიული ორგანიზაცია ვერ იჩენს ავანგარდულ როლს და სათანადო კონტროლს ვერ ახორციელებს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი. პარტიული კრების ბევრი დადგენილება შეუსრულებელი რჩება.

აპრილში პარტიულმა კრებამ მოისმინა მოხსენება შრომის ორგანიზაციის საკითხზე. მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა კომუნისტებმა ბევრი ილაპარაკეს შრომის დისციპლინის დამრღვევთა შესახებ, ჩამორჩენის სასწრაფოდ გამოსწორების აუცილებლობაზე. პარტიულმა კრებამ დააწესა გარდამავალი წითელი დროშა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ბრიგადისათვის, დაავალა კოლმეურნეობის გამგეობას შეეძინა სიმინდის მაღალხარისხოვანი თესლი. კომუნისტებმა წინადადება წამოაყენეს მუშახელის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით მოეწყოს საბავშვო ბაგა. ამას გარდა კრებამ გამოთქვა აზრი საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობის წესის გასაუმჯობესებლად არტელის წესდებაში სათანადო ცვლილებების შეტანის შესახებ.

პარტიული კრების შემდეგ საკმაო დრომ განვლო, მაგრამ დღემდე მის მიერ მიღებული დადგენილების არცერთი მუხლი არ არის შესრულებული. კოლმეურნეთა დიდი ნაწილი კვლავ თავს არიდებს საზოგადოებრივ შრომას. 241 კოლმეურნიდან შრომაში აქტიურად მონაწილეობს მხოლოდ 116. კოლმეურნე ს. ბეთიაშვილს 0,44 ჰექტარი მიწის ნაკვეთი აქვს, კოლმეურნეობაში კი არ მუშაობს. ი. გრიგალაშვილს 0,26 ჰექტარი ნაკვეთი უკავია, მის ოჯახში სამი შრომისუნარიანი წევრია, მაგრამ საკოლმეურნეო შრომაში არცერთი არ იღებს მონაწილეობას. კოლმეურნეობის წევრთა უფლებებით სარგებლობენ, მაგრამ საზოგადოებრივ შრომაში არ მონაწილეობენ კომუნისტების — ნიკოლოზ ბლიაძის, მიხეილ გვარამაძის, არჩილ გელაშვილის და სხვათა ოჯახები.

გასული სამეურნეო წელი ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა ყვიბისის კოლმეურნეობამ. ჩამორჩენის გამოსწორების მიზნით პარტიის ბორჯომის რაიკომის ბიურომ იმსჯელა კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რჩევა მისცა კოლმეურნეთა საერთო კრებას გადაერჩიათ გამგეობის შემადგენლობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. წეველიძე, მაგრამ ამ ღონისძიებამაც ვერ უშველა საქმეს. ჩამორჩენა კვლავ გრძელდება. 18 ივლისისათვის აქ დამთავრებული არ იყო სიმინდის პირველი თოხნა. კოლმეურნეობას 22 ჰექტარი ხეხილის ბაღი აქვს, რომელიც მოუვლელობის შედეგად განადგურებამდეა მისული. შეუწყნარებლად ჩამორჩება საზოგადოებრივი მეცხოველეობაც. არ სრულდება წვეულადობის გეგმები.

16 ივლისს პარტორგანიზაციის კრებაზე განიხილეს თივის აღების, დასილოსებისა და თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი. უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი პარტიულმა ორგანიზაციამ დაგვიანებით განიხილა. კოლმეურნეობამ წელს უნდა გათიბოს ბუნებრივი ბალახი 320 ჰექტარზე და დამზადოს 364 ტონა სილოსი. ბალახი უკვე შესულია სიმწიფეში, მაგრამ თიბვა კი ივლისის ბოლოსათვისაც არ დაუწყიათ. მზად არა აქვთ სილოსის ორმოებიც. კოლმეურნეობამ წელს დამატებით 80 ტონის ტევადობის სილოსის ორმო უნდა ააგოს, მაგრამ ამ სამუშაოს დაწყება აქამდე აზრადაც არ მოსვლიათ. შეუკეთებელია არსებული სილოსის ორმოებიც.

— თივის აღებას იმიტომ ვერ ვიწყებთ, რომ მტს-მა დღემდე ვერ გამოგვიგზავნა სილოსის საჭრელი მანქანა, — აცხადებს პარტბიუროს მდივანი.

მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის აგრეთვე ცუდად მუშაობს წაღვერის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ტ. ჭუმბურიძე). პარტიული ორგანიზაციის კრებაზე 25 მაისს იმსჯელეს მთის საძოვრებზე პირუტყვის სადგომების მომზადების შესახებ. კრების მიერ მიღებული დადგენილებით ეს საქმე 20 ივნისამდე უნდა მოეგვარებინათ, მაგრამ დადგენილება ქაღალდზე დარჩა. პირუტყვის სადგომები არ მოუწყვიათ. ამიტომ კოლმეურნეობა იძულებული გახდა პირუტყვი მახლობელ საძოვარზე გადაერეკა, სადაც ხშირი ტყეების გამო ბალახი მცირეა და საკონელი საკმაო საკვებს ვერ პოულობს.

წაღვერის კოლმეურნეობაში წელს ვერ შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა, უხეშად დაარღვიეს სიმინდის პირველი და მეორე თოხნის აგროტექნიკური ვადები. არ იჩქარიან თივის აღებასა და საკვების დასილოსებას. ყველა ამის მიზეზი შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობაა. 100 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან ყოველდღიურად სამუშაოზე მხოლოდ 26 გამოდის.

ამ რამდენიმე ხნის წინათ პარტიულმა ორგანიზაციამ იმსჯელა შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებზე და მიიღო სათანადო დადგენილება, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ეს დადგენილებაც შეუსრულებელი დარჩა.

ფორმალიზმს ვერც პარტიის ბორჯომის რაიკომი აღწევს თავს. ამას წინათ რაიკომის ბიურომ იმსჯელა წაღვერის კოლმეურნეობაში შექმნილ მდგომარეობაზე და მიიღო დადგენილება არტელის გამგეობის შემადგენლობის განახლების შესახებ და ახალი თავმჯდომარეც აირჩიეს. მაგრამ საქმეს მარტო ეს არ შველის. პარტიის ბორჯომის რაიკომის მუშაკებმა უნდა იცოდნენ, რომ მთავარია მიღებული დადგენილებების ორგანიზატორული საქმიანობით განმტკიცება, პარტიულ მუშაობაში ფორმალიზმის გადაჭრით აღმოფხვრა.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



თბილისის ქარხანა „დაზგაში“ კარგად იცნობენ ამწყობ ზეინკლებს ა. თაბუაშვილს და გ. ალიმბარაშვილს, რომლებიც მუდამ მოწინავეთა რიგებში დგანან და დავალებებს სისტემატურად 150-200 პროცენტით ასრულებენ. **სურათზე:** ა. თაბუაშვილი (მარჯვნივ) და გ. ალიმბარაშვილი აწყობენ სახარატო-რევოლვერულ ჩარხს.

ფოტო შ. გოჭაძისა.

★

წიგნით ვაჭრობის სამმართველოს მუშაკთა გამარჯვება

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროდან და საკავშირო კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტიდან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წიგნით ვაჭრობის სამმართველოში მიღებულია ცნობა, რომ საქართველოს წიგნით ვაჭრობის მუშაკთა კოლექტივი, რომელიც ჩაბმული იყო საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით აღიარებულ იქნა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და მიეკუთვნა პირველი ფულადი პრემია და გარდამავალი წითელი დროშა.

ცნობამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების შესახებ წიგნით ვაჭრობის მუშაკთა აღფრთოვანება და ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

აფართოებენ ავეჯის გამოშვებას

ამუშავდა ბოლნისის ავეჯის ფაბრიკა. მან გამოუშვა საწოლი, სასადილო ოთახებისა და კაბინეტების გარნიტურების პირველი პარტია. ამუშავდა აგრეთვე ავეჯის ახალი საწარმოები ახალციხეში, ცხაკაიასა და გაგრაში. დამთავრდა სამტრედიის ავეჯის კომბინატის რეკონსტრუქცია.

რესპუბლიკაში ფართოვდება ავეჯის წარმოება. მიმდინარეობს მთელი რიგი ახალი საწარმოების მშენებლობა. თბილისში დაიწყო გრუხელი ავეჯის ფაბრიკის მშენებლობა. ავეჯის ახალი საწარმოები შენდება რუსთავში, სტალინირში, სოხუმში და საქართველოს სხვა ქალაქებში.

ავეჯის მომქმედი საწარმოები ითვისებენ ახალი პროდუქციის გამოშვებას. თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატში დაიწყო ლამაზი პატარა კარადების წარმოება.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის ავეჯის საწარმოები გამოუშვებენ 40 მილიონზე მეტი მანეთის ავეჯს — შარშანდელზე გაცილებით უფრო მეტს.

(საქდესი).

საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკება სსრ კავშირისა და იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ

6 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახლში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკება სსრ კავშირისა და იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. გაიმართა მესამე სხდომა.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ: საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ჰ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ი. ფ. კურდიუკოვი, აგრეთვე მრჩევლები და ექსპერტები.

იაპონიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ: იაპონიის დელეგაციის მეთაური, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. სიგემიცუ, სრულუფლებიანი წარმომადგენელი ს. მაცუმოტო, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფოებრივ განყოფილების გამგე ტ. სიმოდა, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკა - ევროპის დეპარტამენტის მრჩეველი ს. ხოგენი, შვეიცარიაში იაპონიის მისიის მრჩეველი ჟ. ნიიძეკი, აგრეთვე მრჩევლები და ექსპერტები.

დღევანდელი სხდომის დროს მხარეები განაგრძობდნენ აზრთა გაზიარებას სსრ კავშირისა და იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩამოაყალიბეს თავიანთი ქვეყნების პოზიცია ტერიტორიულ საკითხზე.

შემდეგი სხდომა გაიმართება 8 აგვისტოს.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას საზეიმოდ გადაეცა რუმინული ხელოვნების ისტორიული ფასეულობანი

6 აგვისტოს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას საზეიმოდ გადაეცა რუმინული გამოყენებითი, დეკორაციული და სახვითი ხელოვნების ისტორიული ფასეულობანი. გიორგის დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მხატვრები, მეცნიერები, მწერლები, არქიტექტორები, მსახიობები, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პასუხისმგებელი თანამშრომლები, მოსკოვის სამხატვრო მუზეუმების თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები. დამსწრეთა შორის არიან სტუმრები რუმინეთიდან; აგრეთვე სხვა ქვეყნებიდან.

აქტის ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. ა. მიხაილოვმა სიტყვა წარმოთქვა.

დღეს ჩვენ ბედნიერი ვართ, აცხადებს იგი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას გადავცეთ ეს შესანიშნავი კოლექციი. ამ საგანძურის ერთადერთი პატრონია მომძმე თავისუფლებისმოყვარე რუმინელი ხალხი.

ამხ. მიხაილოვი დაწვრილებით ლაპარაკობს ნაწარმოებებზე, რომლებიც კოლექციაში შედიან.

ნ. ა. მიხაილოვი გამარჯვებას უსურვებს სახელოვან რუმინელ ხალხს და მის ავანგარდს რუმინეთის მუშათა პარტიას, საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა შორის მეგობრობას.

საპასუხო სიტყვაში რუმინეთის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა აკადემიკოსმა მიხეილ რალიამ მხურვალე მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას რუმინეთის მუშათა პარტიის, მთავრობისა და რუმინელი ხალხის სახელით.

— არ შეგვიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნოთ, — თქვა მან, — თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რუმინელი ხალხისათვის რუმინულ ფასეულობათა გადაცემის აქტს. ამ აქტით პირველ რიგში ჩანს საგარეო პოლიტიკისა და სხვა ხალხებთან ურთიერთობის საბჭოთა კონცეპცია. ჩვენს კოლექციას ისეთივე მზრუნველობით ინახავდნენ, როგორც საბჭოთა ხალხის კუთვნილ საგანძურს. ზოგიერთი სურათის რესტავრაცია შესრულებულია საქმის დიდი ცოდნით.

აკადემიკოსი მიხეილ რალია აქვეყნებს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტოიკა კივუს წერილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისადმი. დარბაზში კვლავ გაისმის მჭუხარე ხანგრძლივი ტაში.

საზეიმო ცერემონიის დამსწრენი იწყებენ რუმინული ხელოვნების ისტორიულ ფასეულობათა დათვალიერებას, რომელთა ნიმუშები გამოფენილია კრემლის დიდი სასახლის გიორგისა და ვლადიმერის დარბაზებში.

* * *

6 აგვისტოს დღისით, რუმინელი ხალხის მხატვრულ ფასეულობათა საზეიმო გადაცემის შემდეგ, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა მოაწყო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. (საქდესი).



საბჭოთა მთავრობის მიერ რუმინელი ხალხის ეროვნულ ფასეულობათა გადაცემის გამო. **სურათზე:** XV-XVI საუკუნეების ვერცხლის ნაკეთობანი.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

პარტიულ საბჭოთა მეურნეობათა ბიუროს ფართო სხდომა

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანის ტურისტული ბაზის ბიბლიოთეკაში 6 აგვისტოს ფართოდ შეკრებილ ყოფილ პარტიულ საბჭოთა მეურნეობათა ბიუროს ფართო სხდომაზე ბ. ბ. ბ.

საშეფოსაქართველოს ფურცლიდან

სად უნდა დაისვენონ თეთრწყაროელებმა?

შენობის სიძველის მიუხედავად თეთრი წყაროს რაიონულ კულტურის სახლს თავისი არსებობის პერიოდში ერთი შეკეთებაც არ ახლოვს. რემონტი აქ ყოველთვის მოვალეობის მოხდის ხასიათს ატარებს.

უხეირო მუშაობისათვის გაათავისუფლეს კულტსახლის დირექტორი ა. დემეტრაშვილი. მის მაგივრად სხვა დანიშნეს. მაგრამ ის დემეტრაშვილზე უხეირო აღმოჩნდა. დირექტორობა გასული წლის ბოლოს კვლავ დემეტრაშვილს შესთავაზეს, ისიც კვლავ დაუბრუნდა ძველ ადგილს.

კულტსახლის საბჭო და ლექტორიუმი ფორმალურად არსებობენ. იშვიათად ეწყობა ლექცია-მოხსენებები, არ გამოდის კედლის გაზეთი. კულტსახლის მუშაკები და აქტივი ნაკლებად იზრუნებენ თავს აგროზოოტექნიკური პროპაგანდისათვის. არაფერი არ კეთდება ათეისტური პროპაგანდის გასაშლელად.

წინათ კულტურის სახლთან სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი კოლექტივი და სასულე ორკესტრი არსებობდნენ, ამჟამად მათი კვალიც გაქრა. სასულე ორკესტრის ძვირფასი ინსტრუმენტები დაიმტვრა.

თეთრი წყაროს რაიონის მშრომელებს უყვართ შრომის შემდეგ კულტურული დასვენება და გართობა. ისინი ხშირად მიდიან კულტურის სახლში, მაგრამ იქ სიმშვიდეა გამეფებული, და უკანვე ბრუნდებიან.

მაშ სად დაისვენონ თეთრწყაროელებმა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რაისაბჭოს აღმასკომისა და მისი კულტურის განყოფილებისათვის მიგვინდია. ურიგო არ იქნება, თუ ამ საქმით დაინტერესდებიან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროშიც.

ვ. დვალი,

გაზეთ „საკოლმეურნეო გზის“ პასუხისმგებელი მდივანი.

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ

თბილისელებისათვის კარგად ნაცნობია ტელეფონის ნომერი 03. მაგრამ შეიძლება ყველამ არ იცოდეს, რომ დაწესებულება რომელსაც ამ ნომრით უკავშირდებიან, იმ ყოფება ელბაქიძის დაღმართზე ბაღის თეთრ პატარა შენობაში. აქ არის თბილისის სასწრაფო და გადაუდებელი საექიმო დახმარების სადგური.

სამორიგეო-ოპერატიულ ოთახში სრული სიწყნარეა, რომელსაც ხანგამოშვებით ტელეფონის ზარის წკრიალი არღვევს. დისპეტჩერი ჟურნალში წერს გამომძახებლის გვარს, მისამართს და ერთი წუთიც არ არის საჭირო, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა იქითკენ დაიძრას, სადაც მას მიელიან. ექიმები ს. გუდიაშვილი, მ. პიკელნი, ნ. ჩიტაიშვილი, ა. ვიმბერგი, ნ. მესხიშვილი, უ. სამხარაძე და სხვები კეთილსინდისიერად შრომობენ, ფხიზლად დგანან ადამიანთა სიცოცხლის სადარაჯოზე და ვინ მოთვლის რამდენ მოხუცსა თუ ახალგაზრდას აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება.

აი ივნისის ერთ ჩვეულებრივ დღეს ტელეფონის ხაზმა სადგურში მოიტანა ცნობა, რომ პატარა ბიუნუნას სიცოცხლე საფრთხეშია. რამდენიმე წუთში ექიმი ნ. მესხიშვილი უკვე ავადმყოფთან იყო. მან ჩვეული სიდინჯითა და გულისხმიერებით გასინჯა ავადმყოფი, დაუსვა სწორი დიაგნოზი და საავადმყოფოში გადაიყვანა. იქ კი მისმა

კოლეგებმა ყველაფერი გააკეთეს და ბავშვს სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

თბილისის სასწრაფო და გადაუდებელი საექიმო დახმარების სადგურში 80-მდე ექიმი და საშუალო და დაბალი სამედიცინო პერსონალის ამდენივე მუშაკი მუშაობს. სადგურს სამი ფილიალი აქვს—ერთი ლენინის, ხოლო ორი 26 კომისრის რაიონში. უკანასკნელ ხანებში სადგურმა მიიღო სასწრაფო საექიმო დახმარების „ზიმის“ მარკის ავტომანქანები, რამაც გაუმჯობესა მშრომელთა სამედიცინო მომსახურების საქმე.

ექიმი ა. მუსანაძე.

* * *

სურათებზე — ზემოთ: სასწრაფო დახმარების ბრიგადა შემთხვევის ადგილას; წრეში: სასწრაფო დახმარების სადგურის ოპერატიული ოთახი. მარცხნიდან — უფროსი დისპეტჩერი გ. წინწკულაძე, უფროსი ექიმი ს. გუდიაშვილი და დისპეტჩერი გ. ინწკირველი იღებენ ცნობებს სასწრაფო საექიმო დახმარების საჭიროების შესახებ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მშენებლობის დაჩქარებისა და გაიაფების ერთი რეზერვი

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მიგვითითებენ, რომ ახლა ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საბინაო და კაპიტალური მშენებლობის დაჩქარება, მშენებლობის თვითღირებულების შემცირება.

მშენებლობის შემდგომი განვითარების, ჩქაროსნული მშენებლობის წარმატების და სამშენებლო საქმეთა თვითღირებულების შემცირების მისაღწევად ჩვენს რესპუბლიკაში გამოყენებული არა გვაქვს ყველა არსებული შესაძლებლობა, ყველა რეზერვი. ერთ-ერთი ასეთი ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვია მშენებლობისათვის გათვალისწინებული კაპიტალდაბანდებათა თანხების ათვისებაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელება, რაც პირველ რიგში გრძელვადიანი დაკრედიტების ხაზით უნდა მოხდეს. ბანკების მუშაკთა მოვალეობაა იცოდნენ, სად, რომელ მშენებლობაზე ხდება კრედიტების ათვისება მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, როგორ ახორციელებენ სამეურნეო ანგარიშს.

ახლა აღარ ქმარა მშენებლობისა და სამშენებლო ორგანიზაციების „კონტროლი მანეთით“. ამასთან საჭიროა კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მიგვითითებენ, რომ ახლა ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საბინაო და კაპიტალური მშენებლობის დაჩქარება, მშენებლობის თვითღირებულების შემცირება.

მშენებლობის შემდგომი განვითარების, ჩქაროსნული მშენებლობის წარმატების და სამშენებლო საქმეთა თვითღირებულების შემცირების მისაღწევად ჩვენს რესპუბლიკაში გამოყენებული არა გვაქვს ყველა არსებული შესაძლებლობა, ყველა რეზერვი. ერთ-ერთი ასეთი ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვია მშენებლობისათვის გათვალისწინებული კაპიტალდაბანდებათა თანხების ათვისებაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელება, რაც პირველ რიგში გრძელვადიანი დაკრედიტების ხაზით უნდა მოხდეს. ბანკების მუშაკთა მოვალეობაა იცოდნენ, სად, რომელ მშენებლობაზე ხდება კრედიტების ათვისება მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, როგორ ახორციელებენ სამეურნეო ანგარიშს.

ახლა აღარ ქმარა მშენებლობისა და სამშენებლო ორგანიზაციების „კონტროლი მანეთით“. ამასთან საჭიროა სასესხო დარგის მუშაკები საფუძვლიანად იცნობდნენ მშენებლობის ორგანიზაციულ სტრუქტურას, მის ეკონომიკას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიათ მათ გადაწყვიტონ საკითხი — ზომა არ შეიძლება ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლა მშენებლობის ეკონომიკის თავისებურებასთან შეფარდებით ისე, რომ შემცირდეს უნაყოფო ხარჯები.

გრძელვადიანი კრედიტების გაცემისას ბანკების წარმომადგენლები სწავლობენ მშენებლობის მთელ რიგ საკითხებს — ასიგნებათა გაცემას, სატიტულო სიების შედგენას, თვალყურს ადევნებენ ასიგნებული თანხების მიზნობრივად გამოყენების საქმეს და ა. შ. მაგრამ ამასთან არ აწყობენ მშენებლობის მომდინარეობის კომპლექსურ შემოწმებას, იშვიათად ამდენენ იმის შემოწმებას, თუ როგორ მუშაობენ საპროექტო ორგანიზაციები ტიპური პროექტების შედგენასა და ჰერსპექტიულ დაგეგმარებაზე, როგორ იყენებენ მშენებლები საპროექტო დოკუმენტაციას. ამასთან ბანკების წარმომადგენლები არ ავლენენ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში დაშვებულ ზედმეტობას, არ ამდენენ სამშენებლო ორგანიზაციების ფინანსური მუშაობისა და მიღებული ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ანალიზს.

ახლა უკვე ცხადად ჩანს, რომ ყველა ამ ამოცანისათვის თავის გასართმევად საჭიროა ბანკების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება.

სამრეწველო ბანკის რესპუბლიკურმა კანტორამ წელს მაისში მოაწყო ათდღიანი სემინარი მშენებლობათა დაფინანსებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების ღრმად შესწავლისათვის. სემინარის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და მშენებლობათა პირველადი საბუჰალტრო აღრიცხვის მუშაკები. სემინარის მსმენელებმა შეისწავლეს საშენ მასალათა თვითღირებულების ანალიზის, მშენებლობების საშენი მასალებით კომპლექსური მომარაგების მოწყობის, მშენებელთა შრომისა და ხელფასის ორგანიზაციის, მშენებლობის თვითღირებულების შემცირების და სხვა საკითხები.

აუცილებლად საჭიროა ასეთი სემინარების დროდადრო მოწყობა. ეს დიდად შეუწყობს ხელს მშენებლობათა დაკრედიტებისა და დაფინანსების გაუმჯობესებას, მშენებლობის დაჩქარებას და თვითღირებულების შემცირებას.

გ. მელქუმოვი,

სამრეწველო ბანკის რესპუბლიკური კანტორის უფროსი ინსპექტორი.

მხოლოდ დაკვირვებები...

ვარაზისხევის (თბილისის ორჯონიკიძის რაიონი) მცხოვრებლებმა არაერთხელ დავაყენეთ, უგზოობისა და სიბინძურის გამო, ხევის წესრიგზე მოყვანის საკითხი. ვითხოვდით ხევის გადახურვას მოძრაობის გაადვილებისათვის, რის შედეგად დასუფთავების ტრესტსაც საშუალება მიეცემოდა წესრიგზე მოეყვანა ეს უბანი სისუფთავის მხრივ.

გადის თვეები, წლებიც, და ჩვენს სამართლიან მოთხოვნაზე მხოლოდ დაპირებებით გვიპასუხებენ. გასულ წელს დაიწყეს ხევის გადახურვა, მაგრამ მუშაობა ნელი ტემპით მიმდინარეობს, დღეისათვის ამ სამუშაოს ნახევარიც არ არის შესრულებული.

საინტერესოა, როდის ფიქრობენ საბუშაოების დამთავრებას?

ვარაზისხევის მცხოვრებლები გ. მაისურაძე, ვ. ჭაჭიაშვილი, ა. ნიკაბაძე.

ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

ფშავის ხეობაში კარგად ახსოვთ ის დრო, როცა ადგილობრივი მეთევზეები არაგვში დიდძალ ორაგულს იჭერდნენ. ამ ძვირფასი თევზის ქარავნები აქ ამოდიოდა ქვირითის დასაყრელად და შემდეგ კვლავ ბრუნდებოდა კასპიის ზღვაში. ამიტომაც ამბობდნენ აქაურები — ეს თევზი ორაგული კი არა, არაგვულიაო.

სამწუხაროდ, ამჟამად არაგვში ერთ ორაგულსაც ვერ იპოვნით, „ზაჰესის“ კაშხალმა დაკეტა ორაგულის გზა კასპიისპირეთიდან ხევსურეთის მაღალ მთებამდე.

ასე მწარედ გადაუხადა ბუნებამ ადამიანებს, რომლებმაც თავის დროზე ვერ მოიფიქრეს დაეტოვებინათ კაშხალში თევზისათვის საჭირო გასასვლელი.

მართალია, არაგვში ორაგული აღარ არის, მაგრამ არის წითელფორაჯიანი კალმახი, რომელიც უმთავრესად გავრცელებულია არაგვის სათავეებში, განსაკუთრებით ხევსურეთის არაგვში, სადაც ზაფხულობით წყალი ბროლივით გამჭვირვალე და წმინდაა.

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში კალმახის რაოდენობა თვალსაჩინოდ შემცირდა. ამის მთავარი მიზეზია ზოგიერთი ადამიანის მტაცებლური დამოკიდებულება ბუნების სიმდიდრისადმი.

მართალს ამბობენ, ასეულობით მონადირე და მეთევზე იმდენ ზარალს ვერ მიაყენებს ბუნების სიმდიდრეს, რამდენსაც ერთი ბრაკონიერიო. მონადირენი და მეთევზეები, თუ ისინი პატიოსნად იქცევიან, ბუნებას ზიანს კი არ აყენებენ, პირიქით, ეხმარებიან.

ყველამ იცის, თუ რა უდიდესი ზიანი მოაქვს თევზისათვის და განსაკუთრებით კალმახისათვის ქლორს, რასაც, მიუხედავად სასტიკად აკრძალვისა, დღესაც იყენებენ ზოგიერთი უპასუხისმგებლო პირები.

თევზის განადგურებას იწვევს აგრეთვე ეგრეთწოდებული წყლის დაწურვა, რის შედეგად იღუპება ლიფსიტები და თევზის მოუმწიფებელი კვერცხებიც კი.

არაგვის ხეობაში ხშირად არ იცავენ თევზაობისათვის დადგენილ ვადებს. ქვირითის დაყრის დროს თევზის ჭერა კი ამკრძალავს კალმახის რაოდენობას.

ბრაკონიერობა პარაზიტიზმის ერთ-ერთი უცუდესი ფორმაა. ადამიანს, რომელიც დაავადებულია ამ სენით, სურს მუქთად მიიღოს ის, რის მოსაპოვებლად საჭიროა ბრძოლა, ენერგიის დახარჯვა. ბრაკონიერობა, რა სახისაც უნდა იყოს იგი, სულიერად ზრწნის, მორალურად აქვეითებს ადამიანს.

ბრაკონიერები, ცხადია, ასე თავისუფლად არ იგრძნობდნენ თავს, მათ წინააღმდეგ რომ შეუპოვრად ვიბრძოდეთ. საჭიროა ისეთი მორალური ატმოსფეროს შექმნა, რომლის დროსაც შეუძლებელი იქნება ცრუ მონადირეებისა და მეთევზეების თავისუფალი პარპაში. ბრაკონიერობასთან ბრძოლის საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, სოფლის აქტივი, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის ბუნება და მისი სიმდიდრე.

სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან გაატარონ საჭირო ღონისძიებები თევზის გასამრავლებლად. აუცილებელია არაგვის ხეობაში გამოიყოს ნაკრძალი ზონები, მოეწყოს თევზის მოსაშენებელი გუბურები, სადაც კალმახის ზრდა-განვითარებას სათანადო პირობები ექნება.

ერთი საკითხიც. დიდი ელექტროსადგურებისა და სხვა ჰიდრონაგებობათა დაპროექტებისას, როგორც წესი, ითვალისწინებენ თევზის გასასვლელ გზას. ასეა ვოლგა-დონზე, სტალინგრადისა და კუიბიშევის ელექტროსადგურებზე. სამწუხაროდ, ჩვენში ამ მნიშვნელოვან საქმეს ყოველთვის როდი ექცევა ყურადღება.

მუხრანის სარწყავი არხის სათავე ნაგებობას, რომლის მშენებლობა ორი წლის წინათ დამთავრდა, თევზის გასასვლელი არა აქვს. ამის გამო არხის საგუბარს ყოველწლიურად უამრავი თევზი აწყდება. არაგვის ქვემო დინებიდან ქვირითის დასაყრელად წამოსულ თევზი ცდილობს რკინაბეტონის კედლების გადალახვას, მაგრამ ამაოდ. ბულაჩაურის ხიდთან, სადაც კაშხალია აგებული, ახლომახლო სოფლებიდან, ნეზობელი რაიონებიდან და დედაქალაქიდან ბევრი მოხალისე იყრის თავს. ისინი შეუბრალებლად ანადგურებენ თევზს ქვირითის დაყრის პერიოდში.

ამ შეცდომის გამოსწორება შეიძლება და კიდევაც უნდა გამოსწორდეს. საჭიროა გაკეთდეს პატარა არხი, და თევზი თავისუფლად წავა არაგვის სათავეებისაკენ, რათა გამრავლდეს და მეტი სიხარული მოუტანოს ადამიანებს. აგრეთვე აუცილებელია მოეწყოს თევზის გასასვლელები ორთაჭალ-ჰესის, ზაჰესისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურების კაშხალებთან.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისათვის შეუნელებელი ზრუნვა თვითეული მოქალაქის ღირსების საქმე უნდა გახდეს.

გ. წიკლაური.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ᲐᲮᲚᲐ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲘ ᲓᲦᲔ, ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ“

„კომუნისტის“ 29 ივლისის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდა წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო კასპის რაიონის კოლმეურნეობებში მოსავლის აღების საქმეში არსებული ნაკლოვანებები.

საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის ბიუროომ განიხილა აღნიშნული წერილი და კრიტიკა სამართლიანად ცნო. მოსავლის აღებისა და დანაკარგებთან ბრძოლის საქმეში ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ რაიკომის ბიუროომ დასახა ღონისძიებანი. მოსავლის აღების საქმეში დანაკარგების დაშვებისათვის სოფელ დოესის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. დ. მესხოფაშვილს გამოეცხადა საყვედური, ხოლო რაიკომის მდივანს თეძამის მტკვრის ზონაში ამხ. ე. თარხნიშვილს და თეძამის მტკვრის დირექტორს ამხ. დ. სილაგაძეს მიეთითათ. თავთავების ასაკრეფად მასობრივად გამოყვანილია ახალგაზრდობა, კალოებზე და კომბაინებზე გაიგზავნა აგიტმხატვრული ბრიგადები, გაჩაღდა საგიტაციო მუშაობა. მოსავლის აღების პარალელურად გაძლიერდა ნამჯის გამოზიდვა-დაზვინვისა და სათესლე ხორბლის გაწმენდის სამუშაოები.

ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ



ქარელი. (საკ. კორ.). რუისი დიდი და კეთილმოწყობილი სოფელია ქარელის რაიონში. ახლა მას შეემატა საშუალო სკოლის შენობა, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი სასწავლო წლიდან. შენობა გათვალისწინებულია 520 მოსწავლისათვის.

სკოლის მშენებლობაზე მილიონ 700 ათასი მანეთი დაიხარჯა. სკოლაში მოეწყობა ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, სასპორტო დარბაზი, ბუფეტი და სხვ. შეძენილია ახალი ავეჯი. ეზო შემოღობილია, დარგულია ხეხილი. სკოლას ექნება საცდელი ნაკვეთი.

სურათზე: რუისის საშუალო სკოლის შენობა.

ფოტო გ. ქიმერიძისა.

განვავითარებთ მეურნეობის ყველა დარგს

უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ჩვენი კოლმეურნეობა განმტკიცდა როგორც მეურნეობრივად, ისე ორგანიზაციულად. წინა წლებთან შედარებით შარშან მნიშვნელოვნად გაიზარდა სიმინდის, კარტოფილის, ხილის, ბოსტნეულის მოსავლიანობა. თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა ხორცისა და რძის წარმოება. ამის შედეგად გადიდდა კოლმეურნეობის ფულადი და ნატურალური შემოსავალი. გასულ წელს ფულადი შემოსავლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეთ. მარტო მეცხოველეობიდან მივიღეთ 72 ათასი მანეთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ათასი მანეთისა.

კოლმეურნეებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის. ნაყოფიერ შრომას კარგი შედეგი მოჰყვა. სიმინდის ისეთი უხვი მოსავალი, როგორიც შარშან მივიღეთ, ჩვენს კოლმეურნეობას არასოდეს არ ჰქონია. მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ 14 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13 ცენტნერისა. მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ გვაკმაყოფილებს სიმინდის წარმოებაში დღემდე მოპოვებული წარმატებანი. მიმდინარე წელს კოლმეურნეობამ ადრე გაზაფხულზე მოამზადა სასიმინდე ფართობები, შეიტანა სასუქები, დროულად მოხნულ ნიადაგში დათესა კარგი ხარისხის თესლი. თესვა 6 დღეში დავამთავრეთ. სიმინდის ნათესებს კარგად ვუვლით. ახლა კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ წელს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 24 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13 ცენტნერისა.

სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ კარტოფილის მოსავლიანობის გადიდებას. შარშან კარტოფილი გვეთესა 40 ჰექტარზე. ჩვენ წინასწარ შევარჩიეთ საკარტოფილე ფართობი, გამოფიტული მიწები ყამირი და ნასვენი მიწებით შევცვალეთ. კარტოფილი მთელ ფართობზე კვადრატულ-ბუდობრივად დავთესეთ. ამ გზით თვითეულ ჰექტარზე 98 ცენტნერი კარტოფილი მოვიყვანეთ, რაც ერთიორად აღემატება წინა წლების მაჩვენებლებს. ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი კომკავშირელმა ზ. აბულაძემ, კოლმეურნე ქალებმა ზ. ბათნიძემ და გ. ხალვაშმა, რომლებმაც მოსავლად მიჩენილი საკარტოფილე ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე 135 ცენტნერი მოსავალი მიიღეს. ჩვენს პირობებში კარტოფილის მეტი მოსავლის მოყვანაც შეიძლება. ამისათვის საჭიროა უფრო გულდასმით შევარჩიოთ კარტოფილის დასათესად განკუთვნილი ნაკვეთები, დასარგავად გამოვიყენოთ მხოლოდ მაღალხარისხოვანი ჯიშის ტუბერები, განვახორციელოთ ამ ძვირფასი კულტურის მოვლა-მოყვანის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია.

მნიშვნელოვნად განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ახლა მეურნეობის ეს დარგი კოლმეურნეობის გამგეობის, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების განსაკუთრებული მზრუნველობითა და ყურადღებით სარგებლობს. შარშან თვითეულ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ 800 ლიტრი რძე მივიღეთ. რაიონის პირობებში ეს კარგი მაჩვენებელია, რადგან გეგმიურ დავალებას 45 პროცენტით აღემატება. მიმდინარე სამეურნეო წელს მნიშვნელოვნად გავადიდებთ მეცხოველეობის პროდუქტიულობას.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ერთგვარ ამაღლებას უწინარეს ყოვლისა მივაღწიეთ სარძეო-სასაქონლო ფერმაში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებითა და შრომის დისციპლინის განმტკიცებით. ფერმაში სამუშაოდ გავგზავნეთ ენერგიული, შრომისმოყვარე კოლმეურნეები, რომლებიც კარგად არიან დაუფლებული პირუტყვის მოვლა-პატრონობის რთულ და საპატიო საქმეს. უნარიანი მუშაობით გამოირჩევიან მწველავები ზ. ბაუჩაძე, ფ. გაბაიძე, ლ. აბაშიძე და სხვები. სარძეო-სასაქონლო ფერმის მუშაკთა შრომითს აქტივობას უნარიანად ხელმძღვანელობს ფერმის გამგე კომუნისტი ა. აბაშიძე, რომელიც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა ამავე ფერმის ორ მოწინავე მწველავთან ერთად.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გავადიდეთ საკვების დაგროვება. ძროხებს საჭირო რაოდენობით ვაძლევთ როგორც უხეშ, ისე წვნიან და კონცენტრირებულ საკვებს. საზოგადოებრივი პირუტყვი მოთავსებული გვყავს კეთილმოწყობილ ბინებში. წელს პირველად დავიწყეთ ღორის მოშენება. კოლმეურნეობამ შეიძინა ორი დედაღორი. აქედან ერთმა 8 გოჭი მოიგო. სამეურნეო წლის ბოლოს 25 ღორი გვეყოლება. მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და პირუტყვის წესიერად გამოზამთრებისათვის უკვე დავიწყეთ მზადება. ჩვენ 102 ჰექტარი სათიბი გვაქვს. 3 კილომეტრზე გავიყვანეთ სარწყავი არხი. 6 ჰექტარზე დავთესეთ სიმინდი სასილოსედ. ყველა ღონეს ვხმარობთ, რომ მიმდინარე სამეურნეო წელს თვითეულ ძროხაზე მივიღოთ 1.000 ლიტრი რძე, რაც თითქმის ერთიორად მეტი იქნება გეგმასთან შედარებით.

შეუნელებელ ყურადღებას ვაქცევთ აგრეთვე მეფოსტნეობის, მეხილეობის, მეფუტკრეობისა და მეფრინველეობის განვითარებას.

კოლმეურნეთა თავდადებულ შრომას სასიხარულო შედეგები მოაქვს. წლითიწლობით იზრდება შრომადღის ღირებულება და მაღლდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა, კოლმეურნეები პირნათლად იხდიან სახელმწიფო ვალდებულებას. შარშან თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეობაში გაანაწილდა 10 კილოგრამი კარტოფილი, 2 კილოგრამი ბოსტნეული, სიმინდი, 2 მანეთი და 50 კაპიკი ფულად. კიდევ უფრო გაიზრდება შრომადღის ღირებულება წელს. შრომადღის ღირებულების გადიდებამ, მოსავლიანობისა და შემოსავლიანობის ზრდამ ხელი შეუწყო კოლმეურნეთა შრომითი დაინტერესების ამაღლებას. ახლა ჩვენს კოლმეურნეობაში ვერ ნახავთ ისეთ შრომისუნარიან კოლმეურნეს, რომელიც გადამეტებით არ ასრულებდეს შრომადღეების გამომუშავების დაწესებულ მინიმუმს. შარშან კოლმეურნეების მ. ბაუჩაძის და ა. აბაშიძის ოჯახებმა თვითეულმა 1.600 შრომადღე გამოიმუშავეს და სხვა პროდუქტებისა და ფულადი შემოსავლის გარდა 16-16 ტონა კარტოფილი მიიღეს. კოლმეურნეთა შემოსავლიანობის ზრდა საშუალებას აძლევს კოლმეურნეებს განუხრელად გაიუმჯობესონ თავიანთი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. შარშან და წელს 10 კოლმეურნემ აიშენა ახალი ორსართულიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი, მრავალმა კოლმეურნემ შეიძინა ძვირფასი ავეჯი და საოჯახო ნივთები.

კოლმეურნეობის წევრებს განათლებისა და კულტურული დასვენების ყველა პირობა აქვთ. სოფელში არის 8-წლიანი სკოლა, სადაც 150-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს. სოფლის მრავალი ახალგაზრდა — ვაჟები და გოგონები ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა სკოლებში სწავლობენ. გვაქვს საკუთარი კლუბი, ბიბლიოთეკა, კლუბში ხშირად იმართება წარმოდგენები, კონცერტები, ლექციათაუბრები, კინო და სხვ. სოფელი ელექტროფიცირებულია, კოლმეურნეთა სახლები ილიჩის ნათურებით არის გაკაშკაშებული. მალე დამთავრდება სოფლის რადიოფიკაცია. მიმდინარე წლის ბოლოს სოფელში გვექნება სამანქანო გზა, რომლის მშენებლობა სანახევროდ უკვე დამთავრებულია.

კოლმეურნეები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ენერგიულად ზრუნავენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის, საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის.

მ. მამულაძე,

ხულოს რაიონის სოფელ კალოთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

პეკინი, 6 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ გამოქვეყნებული განცხადების შემდეგ ტექსტს:

4 აგვისტოს პეკინში უცხოელ კორესპონდენტებთან საუბარში პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ გარკვევით განაცხადა, რომ ჩინელი ხალხი საკუთარ მხარს უჭერს მხარს ეგვიპტის მიერ სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციას და აღნიშნა, რომ ეგვიპტის მთავრობამ უკვე უზრუნველყო არხში ნაოსნობის თავისუფლება, რომ თუ ინგლისსა და საფრანგეთს ჯერ კიდევ აქვთ რაიმე უქმი ამ მხრივ, ისინი უნდა ცდილობდნენ გადაჭრან ეს პრობლემა მოლაპარაკების გზით და რომ მათ არ უნდა მიმართონ შეიარაღებულ ჩარევას. შეიარაღებული ჩარევის ყოველგვარი აქტი, დასძინა მან, გამოიწვევს აზიისა და აფრიკის ხალხთა და მთელი მსოფლიოს ხალხთა წინააღმდეგობას და ჩასაფუშავად იქნება განწირული.

პრემიერ ჯოუ ენ-ლაის განცხადება იმდენად გარკვეული იყო, რომ არ უნდა გამოეწვია არავითარი არასწორი გაგება. მიუხედავად ამისა, ფრანს პრესის სააგენტოს 4 აგვისტოს დეპეშა ლონდონიდან შეიცავდა მტკიცებას, რომ პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ „აშკარად დაუჭირა მხარი არხის ინტერნაციონალიზაციას“. ამ განცხადებას არავითარი საფუძველი არა აქვს. სინამდვილეში, როდესაც კორესპონდენტებმა ჰკითხეს მისი აზრი საერთაშორისო კონფერენციის შესახებ, რომლის მოწვევა ინგლისმა, შეერთებულმა შტატებმა და საფრანგეთმა დასახეს, პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ აღნიშნა, რომ, როგორც სამი სახელმწიფოს კომუნიკედან ჩანს, ეს საერთაშორისო კონფერენცია მიზნად ისახავს განიხილოს საკითხები, რომლებიც ეგვიპტის სუვერენულ უფლებებს შეეხება, ეს კი შეუწყნარებელია.

კანადის მუშათა პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის აღმასკომის განცხადება

ოტავა, 6 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაზეთმა „კანადიენ ტრიბუნმა“ მოათავსა მუშათა პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის აღმასკომის განცხადება, რომელშიც იგი მიესალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“.

„მუშათა პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის აღმასკომმა, — ნათქვამია განცხადებაში,—განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 30 ივნისს მიღებული დადგენილება პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ. ჩვენ მივესალმებით ამ დადგენილებას. მას სიცხადე შეაქვს მთელ რიგ ისტორიულ და პოლიტიკურ საკითხებში და გამოხატავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძმურ დამოკიდებულებას დანარჩენ კომუნისტურ პარტიებთან“.

ეგვიპტის სოციალურ საქმეთა და შრომის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

კაირო, 6 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ალ-ახრამი“ წერს, რომ, როგორც სოციალურ საქმეთა და შრომის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, სუეცის არხის ყოფილი კომპანია თავის მოქმედებაში იჩენდა დისკრიმინაციას ეგვიპტელი მუშა-მოსამსახურეების მიმართ და უცხოელებს პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებდა. უცხოელები, რომლებიც ამავე სამუშაოს ასრულებდნენ, როგორც ეგვიპტელები, უფრო დიდ ხელფასს იღებდნენ. მათთვის იქმნებოდა უკეთესი საბინაო პირობები, ვიდრე ეგვიპტელებისათვის. უცხოელები პრივილეგიებით სარგებლობდნენ სამედიცინო და სოციალური მომსახურების დარგში.

კომპანიის ეს მოქმედება, განაცხადა წარმომადგენელმა, არ შეესაბამებოდა ეგვიპტის ეროვნულ სუვერენიტეტს. სუეცის არხის კომპანია სახელმწიფო იყო სახელმწიფოში. კომპანიის გამგეობა ხშირად არღვევდა ეგვიპტის კანონებს და ანგარიშს არ უწევდა ეგვიპტის შრომის კანონმდებლობას.

როცა 1955 წელს, განაგრძო წარმომადგენელმა, ეგვიპტის მთავრობამ შექმნა კომისია ეგვიპტელი მუშების შრომის პირობების შესამოწმებლად და ეგვიპტელთა მიმართ დისკრიმინაციის თავიდან აცილებისათვის, კომპანიის გამგეობა ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა კომისიის მუშაობისათვის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მასალები და დოკუმენტები სუეცის არხის ყოფილი კომპანიის მიერ ეგვიპტის კანონების დარღვევის შესახებ გადაეცა სუეცის არხის ადმინისტრაციის გამგეობას.

მდგომარეობა სუეცის არხში

კაირო, 6 აგვისტო. (საკდესი). გემები სუეცის არხში მისი ნაციონალიზაციის შემდეგ სრულიად შეუფერხებლად დადიან. აღნიშნულია იმ გემთა რაოდენობის გადიდება, რომლებმაც უკანასკნელ დღეებში გაიარეს არხში, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით. გაზეთი „აშ-შაბი“ იუწყება, რომ 27 ივლისიდან 5 აგვისტომდე არხში გაიარა 455 გემმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ალმებით, მათ შორის 125 გემმა ინგლისის ალმით და 138 გემმა საფრანგეთის ალმით. გასული წლის ამავე პერიოდში არხში გაიარა 421 გემმა.

ეგვიპტისა და სირიის მთავრობების სხდომები

კაირო, 7 აგვისტო. (საკდესი). გუშინ, 6 აგვისტოს გაიმართა ეგვიპტის მთავრობის სხდომა, რომელმაც 3 საათს გასტანა. კაიროს რადიოს ცნობით, სხდომაზე განხილავდნენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ეგვიპტის მიწვევასთან ლონდონის მომავალ კონფერენციაზე.

რადიომ გადასცა, რომ, დამასკოდან მიღებული ცნობით, იქ აგრეთვე გაიმართა მთავრობის სხდომა სირიის პრეზიდენტის შუქრი კუატლის თავმჯდომარეობით. პრემიერ-მინისტრმა საბრი ასალიმ და საგარეო საქმეთა მინისტრმა სალაჰ ედ-დინ ბიტარმა მთავრობის წევრებს გააცნეს შინაარსი ეგვიპტის პრეზიდენტის ნასერის იმ წერილისა სირიის პრეზიდენტისადმი, რომელიც შეეხება ეგვიპტის პოზიციას სუეცის არხის საკითხზე ლონდონის მომავალი კონფერენციის მიმართ.

მუქარის პოლიტიკა გრძელდება

ლონდონი, 6 აგვისტო. (საკდესი). პრესის ცნობებით ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალების ორი ავიოსანი „ტისიუსი“ და „ბულვარკი“ პორტსმუტიდან გავიდა ხმელთაშუა ზღვაში. ავიოსან „ტისიუსზე“, თვითმფრინავების გარდა, არის განსაკუთრებული ავიასადესანტო ბრიგადა. რეიტერის საგენტო, იმოწმებს რა ინგლისის სამხედრო სამინისტროს განცხადებას, ამტკიცებს, რომ ავიოსანთა გაგზავნა არის „საფრთხილის ღონისძიება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ინგლისის პოზიციების უზრუნველყოფისათვის“. გაზეთების უმრავლესობა ამ ნაბიჯს აშუქებს როგორც საშუალებას ზემოქმედება მოახდინონ ეგვიპტის მთავრობაზე სუეცის არხის საკითხში.

ბევრი ბურჟუაზიული გაზეთი კვლავ თავს ესხმის და ეშუქრება ეგვიპტეს, ცდილობს რა ხელოვნურად გააძლიეროს ნერვულობის ატმოსფერო სუეცის არხის ნაციონალიზაციის საკითხის გამო და ჩამოაშოროს საზოგადოებრიობის ყურადღება იმ ფაქტს, რომ სინამდვილეში არავითარი საფრთხე არ მოელის არხში ნაოსნობის თავისუფლებას. ამავე დროს ზოგიერთი გავლენიანი გაზეთი გეგმს ამ პროპაგანდისტულ კამპანიას. „მანჩესტერ გარდიანი“ წერს, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ სრულიად გაუმართლებელი ძალმომრეობა აგრესიის აქტი იქნებოდა და მას მხოლოდ მძიმე შედეგები მოჰყვებოდა ინგლისისათვის.

გაზეთი აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით აკრძალულია საერთაშორისო უთანხმოების მოწესრიგებისათვის ძალის გამოყენება.

ეგვიპტისა და სირიის მთავრობების სხდომები

კაირო, 7 აგვისტო. (საკდესი). გუშინ, 6 აგვისტოს გაიმართა ეგვიპტის მთავრობის სხდომა, რომელმაც 3 საათს გასტანა. კაიროს რადიოს ცნობით, სხდომაზე განხილავდნენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ეგვიპტის მიწვევასთან ლონდონის მომავალ კონფერენციაზე.

რადიომ გადასცა, რომ, დამასკოდან მიღებული ცნობით, იქ აგრეთვე გაიმართა მთავრობის სხდომა სირიის პრეზიდენტის შუქრი კუატლის თავმჯდომარეობით. პრემიერ-მინისტრმა საბრი ასალიმ და საგარეო საქმეთა მინისტრმა სალაჰ ედ-დინ ბიტარმა მთავრობის წევრებს გააცნეს შინაარსი ეგვიპტის პრეზიდენტის ნასერის იმ წერილისა სირიის პრეზიდენტისადმი, რომელიც შეეხება ეგვიპტის პოზიციას სუეცის არხის საკითხზე ლონდონის მომავალი კონფერენციის მიმართ.

მუქარის პოლიტიკა გრძელდება

ლონდონი, 6 აგვისტო. (საკდესი). პრესის ცნობებით ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალების ორი ავიოსანი „ტისიუსი“ და „ბულვარკი“ პორტსმუტიდან გავიდა ხმელთაშუა ზღვაში. ავიოსან „ტისიუსზე“, თვითმფრინავების გარდა, არის განსაკუთრებული ავიასადესანტო ბრიგადა. რეიტერის საგენტო, იმოწმებს რა ინგლისის სამხედრო სამინისტროს განცხადებას, ამტკიცებს, რომ ავიოსანთა გაგზავნა არის „საფრთხილის ღონისძიება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ინგლისის პოზიციების უზრუნველყოფისათვის“. გაზეთების უმრავლესობა ამ ნაბიჯს აშუქებს როგორც საშუალებას ზემოქმედება მოახდინონ ეგვიპტის მთავრობაზე სუეცის არხის საკითხში.

ერაყი მხარს უჭერს ეგვიპტეს

ბეირუთი, 6 აგვისტო. (საკდესი). ლიბანის პრესა იუწყება: ერაყის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მხარს უჭერს ეგვიპტეს სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის საკითხში. „ერაყის მთავრობა, — ნათქვამია ბაღდადში გამოქვეყნებულ კომუნიკეში, — მხარს უჭერს ეგვიპტეს თავისი ღირსების, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“.

გაფიცვა სამხრეთ ვიეტნამში

ხანოი, 7 აგვისტო. (საკდესი). საიგონის რადიოს ცნობით, გუშინ გაფიცვა გამოაცხადეს საიგონის ნავსადგურის მუშაკებმა. გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის 30-40 პროცენტით გადიდებას. გაფიცულებსა და პოლიციას შორის შეტაკებები მოხდა.

საიგონის ნავსადგურის მუშაკთა გამოსვლა ერთიანი როდია. უკანასკნელ ორ კვირაში ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ მოითხოვნა წამოაყენეს ამერიკის კომპანია „სტანდარდ ვაკუუმ ოილის“ ადგილობრივი განყოფილების მუშებმა და მოსამსახურეებმა, საიგონის წყლითა და ელექტრობით მომარაგების კომპანიის მუშაკებმა, სამაყოების მოსამსახურეებმა და სხვ.

სამხრეთ ვიეტნამის მშრომელთა გაფიცვები გამოწვეულია ცხოვრების პირობების გაუარესებით, რაც გრძელდება. „სტანდარდ ვაკუუმ ოილ კომპანის“ მუშა-მოსამსახურეთა მომართვაში აღნიშნული იყო, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში ფასები ორნახევარჯერ გადიდდა, მაშინ როცა ხელფასი სულ 52 პროცენტით გაიზარდა.

სამხრეთ ვიეტნამის მშრომელთა საგაფიცვო ბრძოლას ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ხშირად თან ახლავს პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები. მაგალითად, საიგონის ნავსადგურის „ქნან-ხოის“ საწარმოთა მუშებმა ნგო დინ დიემის მთავრობისაგან მოითხოვეს გადადგას ნაბიჯები ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

იაპონიაში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის

პეკინი, 6 აგვისტო. (საკდესი). როგორც ტოკიოს რადიო იუწყება, 6 აგვისტოს საღამოს ტოკიოში გაიხსნა მე-2 საერთაშორისო კონფერენცია ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის. კონფერენცია ეწყობა იაპონიის ქალაქების ხიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის მე-11 წლისთავზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ 15 ქვეყნის, მათ შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, შვეიცის, პოლონეთის, ინგლისის წარმომადგენლები.

კონფერენცია გაიხსნა საერთაშორისო სტადიონზე, რომელიც 20 ათას კაცს იტევს. სტადიონის ტრიბუნები მთლად გაჭედილია ხალხით. შეკრებილთ შესავალი სიტყვით მიმართა კონფერენციის მომწყობი კომიტეტის თავმჯდომარემ, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა კაორუ იასუიმ. მან ილაპარაკა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის წარმატებებზე იაპონიასა და სხვა ქვეყნებში. იასუიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოძრაობა მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის ბოლოს და ბოლოს აიძულებს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებს გადადგან ნაბიჯები ამ იარაღის აკრძალვისათვის.

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. 9 აგვისტომდე კონფერენციის სხდომები იქნება ტოკიოში, ხოლო 9-დან 11 აგვისტომდე — ნაგასაკში.

პეკინი, 6 აგვისტო. (საკდესი). როგორც იაპონიის რადიო იუწყება, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც დღეს ტოკიოში გაიხსნა, გამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა კოეევნიკოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხი იაპონელი ხალხის მხარდამხარ ეცდება მიაღწიოს იმას, რომ მსოფლიოს ქვეყნებმა კანონგარეშე გამოაცხადონ ატომური და წყალბადის ბომბები. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ფინანსურ დახმარებას გაუწევს ატომური და წყალბადის ბომბებისაგან დაზარალებულ იაპონელებს.

კონფერენციის დღევანდელ სხდომაზე მიიღეს შემდეგი განცხადება: მოძრაობა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის არის მოძრაობა კაცობრიობის სიცოცხლისა და ბედნიერების დასაცავად. საერთაშორისო ვითარება ხელს უწყობს ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას. ჩვენ ვიბრძოლებთ ატომური და წყალბადის იარაღის წარმოებისა და გამოცდის აკრძალვისათვის, განიარაღების განხორციელებისათვის. ამასთან ჩვენ გავაჩაღებთ საერთაშორისო კამპანიას იმ პირებისათვის დახმარების გასაწევად, რომლებიც ატომური და წყალბადის ბომბებისაგან დაზარალდნენ.

ინდოეთის სახალხო სოციალისტური პარტიის აღმასკომის გადაწყვეტილება

დელი, 7 აგვისტო. (საკდესი). დელში სახალხო-სოციალისტური პარტიის ეროვნული აღმასკომის სესიაზე მიღებულია რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერს ეგვიპტის გადაწყვეტილებას სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „ძალის პოზიცია“, რომელიც ზოგიერთმა სახელმწიფომ დაიკავა ეგვიპტის მიმართ, ხელს ვერ შეუწყობს სუეცის არხის საკითხის გადაჭრას, არამედ მხოლოდ გაამწვავებს ურთიერთობას ერთი მხრივ ევროპასა და მეორე მხრივ, აზიას და აფრიკას შორის.

ისლანდიის მშვიდობის მომხრეთა დელეგაციის საქართველოში

6 აგვისტოს თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა ისლანდიის მშვიდობის მომხრეთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პედგოგი ჰალგრიმფურ იონასონი. დელეგაციამ, რომელშიც შედიოდნენ პოეტები, კომპოზიტორები, ჟურნალისტები, კომერსანტები, ხუთი დღე დაჰყო საქართველოში. დელეგაციამ დიდი ინტერესი გამოიჩინა რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა მხარისადმი. სოხუმში სტუმრები გაეცნენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მედიკურ-ბიოლოგიური სადგურის, კურორტ გაგრის ჯანმრთელობის მთელი რიგი კერების მუშაობას, იყვნენ რიწის ტბაზე. დელეგატები იყვნენ ოჩამჩირის რაიონში, სადაც დათვალიერეს სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა და ჩაის ფაბრიკა.

ისლანდიის მშვიდობის მომხრეთა დელეგაციის წევრები ინტერესით ეცნობოდნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს. ისინი იყვნენ, კერძოდ, „თბილისის ზღვის“ ნაპირებზე, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე ქალაქმა რუსთავმა. აქ ისლანდიელმა მშვიდობის მომხრეებმა დაათვალიერეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, მუშების ბინები.

მცხეთაში დელეგაციამ დაათვალიერა წარსულის არქიტექტურის ძეგლები, ესტუმრა ბავშვებს, რომლებიც ისვენებენ კურორტ წყნეთის პიონერთა ბანაკში.

ისლანდიელი სტუმრები უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში შეხვდნენ მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის წევრებს, მწერლებს, ეურნალისტებს. აქ მათ უნახავეს კინოფილმები „საქართველოს ციკვები“ და „ქართული ბალეტის ოსტატები“.

თბილისიდან გამგზავრების წინ დელეგაციის წევრებმა თავიანთი შთაბეჭდილებანი გაუზიარეს საქდესის კორესპონდენტს.

ისლანდიის მშვიდობის მომხრეთა დელეგაციის მეთაურმა ჰალგრიმურ იონასონმა თქვა:

— საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, სადაც ჩვენ ვიყავით, განსაკუთრებით გულთბილად შეგვხვდნენ. ჩვენ ვნახეთ დიდი კეთილდღეობა ხალხისა, რომელიც შემოქმედებითს შრომას ეწევა.

პოეტმა სტეინ სტეინარმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირში მოგზაურობამ იგი დაარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირს მშვიდობა სურს და მისი ადამიანები მშვიდობისათვის შრომობენ.

დელეგაციის წევრმა ისლეიფურ ჰოგნასონმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა შესაძლებლობა გასცნობოდა შესანიშნავ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ მშრომელებს დაეუფლონ კულტურას. მან აღნიშნა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეტალურგთა ქალაქმა რუსთავმა, მისმა საერთო დაგეგმვამ, არქიტექტურამ.

(საქდესი).

ინდონეზიის ეროვნული პარლამენტის ახალი შემადგენლობა

ჯაკარტა, 6 აგვისტო. (საკდესი). ინდონეზიის ეროვნული პარლამენტის ახალ შემადგენლობაში, ინფორმაციათა მიხედვით, 257 დეპუტატია. ეროვნული პარლამენტის ახალ შემადგენლობაში 80 ადგილი ეკუთვნის ეროვნულ პარტიას, 45 ადგილი — ნაციონალურ-რელიგიურ ალიანსს, 45 ადგილი — ინდონეზიის კომუნისტურ პარტიას, 16 ადგილი — სოციალისტურ პარტიას, 15 ადგილი — ინდონეზიის ეროვნულ პარტიას, 12 ადგილი — ინდონეზიის ეროვნულ ალიანსს, 10 ადგილი — ინდონეზიის ეროვნულ ალიანსს, 9